

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 30 ივნისს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	15
4. ძირითადი საშუალებები	16
5. ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	17
6. მარაგები	17
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	18
9. მიღებული სესხები	18
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
11. ამონაგები	19
12. ხარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით	19
13. სხვა წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)	20
14. წმინდა ფინანსური ხარჯი	20
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	21
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22

მმართველობის ანგარიშგება.....	24
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ანკა ფეა თრეიდის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ანკა ფეა თრეიდის (შემდგომში - 'კომპანია') თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიამ მიიღო წმინდა ფინანსური ზარალი, მას უფიქსირდება უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და მომავალში საოპერაციო საქმიანობის გაგრძელების, აღებული მოვალეობების შესრულებისა და საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა დამოკიდებულია კომპანიის შესაძლებლობაზე განახორციელოს მომგებიანი ოპერაციები ან/და მოიზიდოს დამატებითი ფინანსები. დამატებით, როგორც ეს გაშიფრულია მე-16 შენიშვნაში, კომპანიის საქმიანობაზე გავლენა მოახდინა ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიურმა აფეთქებამ, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში გამოაცხადა გლობალურ პანდემიად.

მოცემული ფაქტები მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს აღნიშნული განუსაზღვრელობით.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

5 ივნისი 2020

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	30 ივნისი 2019	30 ივნისი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	8,967	7,081
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	5	1,471	3,605
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,438	10,686
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	1,596	824
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	49	1,041
საგადასახადო აქტივი		149	204
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	5	3,143	1,176
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	164	79
სულ მიმდინარე აქტივები		5,101	3,324
სულ აქტივები		15,539	14,010
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,722	3,722
დაგროვილი ზარალი		(4,535)	(2,217)
სულ კაპიტალი		(813)	1,505
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	1,471	3,605
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,471	3,605
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	14,152	8,750
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	729	150
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,881	8,900
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,539	14,010

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 30 ივნისის დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 5 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ზდენეკ რადილი

ფინანსური დირექტორი _____ გიორგი ვასაძე

შპს ანკა ფაი თრეიდ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	30 ივნისი 2019	30 ივნისი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	8,967	7,081
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	5	1,471	3,605
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,438	10,686
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	1,596	824
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	49	1,041
საგადასახადო აქტივი		149	204
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	5	3,143	1,176
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	164	79
სულ მიმდინარე აქტივები		5,101	3,324
სულ აქტივები		15,539	14,010
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,722	3,722
დაგროვილი ზარალი		(4,535)	(2,217)
სულ კაპიტალი		(813)	1,505
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	1,471	3,605
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,471	3,605
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	14,152	8,750
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	729	150
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,881	8,900
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,539	14,010

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 30 ივნისის დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 5 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ზდენეკ რადილ

ფინანსური დირექტორი

გიორგი ვასაძე



10-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ანკა ფეა თრეიდ

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	11	10,061	10,249
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის თვითღირებულება	12	(10,048)	(9,824)
საერთო მოგება		13	425
კომერციული ხარჯები		(26)	(123)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(557)	(352)
სხვა წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)	13	(71)	(164)
საოპერაციო ზარალი		(641)	(214)
წმინდა ფინანსური ხარჯი	14	(1,670)	(24)
წმინდა ზარალი		(2,311)	(238)
მოგების გადასახადის ხარჯი		(7)	(4)
მთლიანი სრული ზარალი		(2,318)	(242)

10-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ანკა ფეა თრეიდ

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2017 წლის 1 ივლისისთვის	3,722	(1,975)	1,747
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(242)	(242)
2018 წლის 30 ივნისისთვის	3,722	(2,217)	1,505
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(2,318)	(2,318)
2019 წლის 30 ივნისისთვის	3,722	(4,535)	(813)

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(2,311)	(238)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	12	735	352
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები	13	35	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	13	-	(21)
მიღებული წმინდა მოგება			
საექვო ვალების ანარიცხები	7	17	44
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება	14	116	28
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	13, 14	1,589	148
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		181	313
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე			
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგები		(772)	(263)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 9)		(6,505)	(9,713)
საგადასახადო აქტივი		56	(43)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		559	(796)
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		(6,481)	(10,502)
გადახდილი პროცენტი		(246)	(141)
მიღებული პროცენტი		131	123
გადახდილი მოგების გადასახადი		(7)	(4)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		(6,603)	(10,524)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(2,663)	(4,243)
ფულადი ნაკადები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		5	118
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,658)	(4,125)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან		11,269	19,626
ნასესხები სახსრების დაფარვა		(2,944)	(983)
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხების წმინდა ცვლილება		981	(4,296)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან		9,306	14,347
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		45	(302)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		79	396
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		40	(15)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		164	79

10-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ანკა ფეა თრეიდ (შემდგომში - კომპანია) დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო კოდით - 419988222. კომპანიის იურიდიული მისამართია ვაჟა-ფშაველას #25, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭითაწყარი 2139, საქართველო.

კომპანია აწარმოებს და ექსპორტზე გააქვს თხილის პროდუქტები. ამ ინდუსტრიაში კომპანია საქმიანობას ახორციელებს 2013 წლიდან და მომხმარებლების ძირითადი ნაწილი ევროკავშირის ქვეყნებიდან ჰყავს.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შვეიცარიული კომპანია Anka Food SA. 2019 და 2018 წლების 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 5 ივნისს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მიერ პირველად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)“ შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისთვის თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.1 მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მიერ მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საწყისი ნაშთის მომზადებისას კომპანიას არ გაუკეთებია კორექტირება. კომპანიის გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 ივლისი. კომპანიამ მსს ფასს-ზე გადასვლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ გამოიყენა ყველა სავალდებულო მაგრამ, არ გამოუყენებია არცერთი ნებადართული განთავისუფლება.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 ივლისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები დამრგვალებულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 2,318 ათასი ლარი და ამ თარიღისათვის კომპანიას უფიქსირდება 813 ათასი ლარის უარყოფითი კაპიტალი. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რადგან დამფუძნებელი კომპანია თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში, განაგრძოს კომპანიის ფინანსური დახმარება და არ მოითხოვოს ვალდებულებების დაფარვა იმგვარად, რომ საფრთხე შეუქმნას კომპანიის ლიკვიდურობასა და მომავალ საოპერაციო საქმიანობას. კომპანიის დამფუძნებელი კომპანიისგან მიღებულ დაფინანსების შესახებ დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია მე-16 შენიშვნაში.

2.3 უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა

(ა) ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

(ბ) გატარებები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გატარებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც უკავშირდება მიღებულ სესხებს და ფულს და ფულის ეკვივალენტებს წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 'წმინდა ფინანსური ხარჯი' მუხლში. ყველა სხვა კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება-ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 'სხვა წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)' მუხლში.

2.4 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. ბანკის ოვერდრაფტი მოცემულია სესხების მიმდინარე ვალდებულებების ნაწილში.

სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში და წარმოდგენილია როგორც 'ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები'.

2.5 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.6 მარაგები

მარაგები ასახულია თვითღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ, შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს შეფუთვის, ნედლეულის, პირდაპირი შრომის, სხვა პირდაპირ და მასთან მიკუთვნებად საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ნორმალური საწარმოო სიმძლავრის მიხედვით). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ მარაგი გასაუფასურებელია, საბალანსო ღირებულება მცირდება სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული დასრულებისა და გაყიდვის დანახარჯებით; გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ:

	მომსახურების ვადა (წლები)
შენობა-ნაგებობები	50
სილო და შესანახი ავზები	5-20
მანქანა-დანადგარები	2-20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-7

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.8 სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ღირებულება აღემატება ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. გაუფასურების შეფასების მიზნით აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეებზე, რომელთათვისაც არსებობს განცალკევებით იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). გაუფასურებული არაფინანსური აქტივები ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განიხილება გაუფასურების შესაძლო აღდგენის დადგენის მიზნით.

2.9 მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გამსესხებლისთვის გადასახდელი ფულის რაოდენობის მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). მიღებული სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და წარდგენილია ფინანსურ ხარჯებში.

სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადაავადოს ვალდებულება.

სესხის მიღების ყველა ხარჯი აღიარებულია იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც მოხდა ხარჯის გაწევა.

2.10 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით და შემდგომში შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით

2.11 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალის ცვლილება, მფლობელობა, ა.შ.) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალში შენატანები აღირიცხება რეალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

2.12 ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვისთვის მიღებული ან მისაღების ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. ამონაგები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის, დაბრუნებული საქონლის ღირებულების, კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო და სხვა სახის ფასდათმობების გარეშე.

კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის შესაფერისი სპეციფიკური კრიტერიუმები, როგორც აღწერილია ქვემოთ:

(ა) საქონლის რელიზაცია

კომპანია აწარმოებს თხილის პროდუქტებს და ყიდის მოვაჭრეებსა და სამრეწველო მომხმარებლებზე. შემოსავალი საქონლის რელიზაციიდან აღიარდება, როდესაც კომპანია მყიდველს მიაწვდის პროდუქციას, გადასცემს სრულ უფლებას პროდუქციაზე და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ პროდუქციის მიღებაზე. საქონელი მიწოდებულად არ ჩაითვლება იქამდე, სანამ არ მოხდება პროდუქციის მიტანა კონკრეტულ ადგილამდე და დამკველებისა და დანაკარგის რისკი არ გადავა მყიდველზე, ან სანამ მყიდველი არ ჩაიბარებს პროდუქციას გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ან საქონლის ჩაბარების ვადა არ გავა ან სანამ კომპანიას არ ექნება ობიექტური მტკიცებულება, რომ აღიარების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) მომსახურების მიწოდება

კომპანია უზრუნველყოფს ნაჭუჭიანი თხილის მტვრევის მომსახურების მიწოდებას თხილის ინდუსტრიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდი წევრისთვის. თხილის მტვრევის ღირებულებიდან ამონაგების აღიარება დამოკიდებულია დამტვრეული და მყიდველისთვის მიწოდებული ნაჭუჭიანი თხილის მოცულობაზე.

(გ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

2.13 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.14 დაბეგვრა

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი ზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი არის 15% (ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად).

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მოგების გადასახადის გარდა გადასახადები აღიარდება მაშინ, როცა ადგილი აქვს დასაბეგრ მოვლენას. დასაბეგრი მოვლენა არის მოვლენა რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები დაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

2.15 გრანტები

გრანტები აღიარდება რეალური ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება იმისა, რომ კომპანია გრანტს მიიღებს და შეასრულებს გრანტისთვის არსებულ ყველა პირობას. მიღებული გრანტები მოცემულია სხვა სრულის შემოსავლის ანგარიშგების შემდეგ მუხლებში: წმინდა ფინანსური ხარჯი, და სხვა წმინდა შემოსავალი/(ხარჯი).

2.16 იჯარა

სადაც კომპანია არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.17 გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთჩაითვალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

2.18 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემისას. საქონლის დაბრუნების უფლებით გაფორმებული კონტრაქტის შემთხვევაში, ამონაგები აღიარდება იმ თანხით, რომელზეც მოსალოდნელია, რომ არ მოხდება საქონლის უკან დაბრუნება.

შესაბამისად, აღიარებული ამონაგების ოდენობა კორექტირდება მოსალოდნელი დაბრუნებების ოდენობით, რაც შეფასებულია თხილის პროდუქციისა და მომხმარებლების კონკრეტული ტიპების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები ცვდება განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებაზე აქტივის გამოყენების შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელის მიღების პერიოდთან დაკავშირებით. აღნიშნული შეფასება პერიოდულად გადაიხედება. შეფასებების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს აქტივების საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი პერიოდების ცვეთის ხარჯზე. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	სილო და შესანახი ავზები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
2017 წლის 1 ივლისისთვის	42	961	-	1,903	116	745	3,767
შეძენა	-	-	155	1,784	43	2,362	4,344
შიდა მოძრაობა	-	1,011	63	1,079	41	(2,194)	-
რეალიზაცია	-	-	-	(133)	(2)	-	(135)
2018 წლის 30 ივნისისთვის	42	1,972	218	4,633	198	913	7,976
შეძენა	-	-	353	753	175	1,382	2,663
შიდა მოძრაობა	-	1,384	19	836	56	(2,295)	-
რეალიზაცია	-	-	-	(18)	(35)	-	(53)
2019 წლის 30 ივნისისთვის	42	3,356	590	6,204	394	-	10,586
დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის 1 ივლისისთვის	-	(46)	-	(463)	(71)	-	(580)
ცვეთის ხარჯი	-	(29)	-	(292)	(31)	-	(352)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	37	-	-	37
2018 წლის 30 ივნისისთვის	-	(75)	-	(718)	(102)	-	(895)
ცვეთის ხარჯი	-	(65)	(28)	(573)	(69)	-	(735)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	11	-	-	11
2019 წლის 30 ივნისისთვის	-	(140)	(28)	(1,280)	(171)	-	(1,619)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2018 წლის 30 ივნისისთვის	42	1,897	218	3,915	96	913	7,081
2019 წლის 30 ივნისისთვის	42	3,216	562	4,924	223	-	8,967

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები

ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები მოიცავს შეზღუდულ ფულს საბანკო ანგარიშებზე, რომელიც განკუთვნილია სს თი ბი სი ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფად (მე-9 შენიშვნა).

6. მარაგები

	30 ივნისი 2019	30 ივნისი 2018
თხილის გული	250	164
გადამუშავებული თხილი	1,231	561
შესაფუთი მასალები	115	99
	1,596	824

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	30 ივნისი 2019	30 ივნისი 2018
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	8	7
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	76
სხვა	44	35
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(35)	(30)
სულ ფინანსური მოთხოვნები	17	88
არაფინანსური მოთხოვნები		
საწარმოს მშენებლობისთვის გადახდილი ავანსები	-	466
მანქანა-დანადგარების შესაძენად გადახდილი ავანსები	3	471
სხვა	34	20
გამოკლებული: საექვო ავანსების ანარიცხები	(5)	(4)
სულ არაფინანსური მოთხოვნები	32	953
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	49	1,041

ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგია:

	30 ივნისი 2019	30 ივნისი 2018
არ არის ვადაგადაცილებული	3	3
ვადაგადაცილებული მაგრამ, არა გაუფასურებული	14	85
ვადაგადაცილებული და გაუფასურებული	35	30
	52	118

ცვლილებები ანარიცხებში შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	30 ივნისი 2019	30 ივნისი 2018
ნაშთი წლის დასაწყისში	34	-
ხარჯი პერიოდის განმავლობაში	17	44
ჩამოწერა	(11)	(10)
ნაშთი წლის ბოლოს	40	34

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	30 ივნისი 2019	30 ივნისი 2018
ნაღდი ფული სალაროში	-	29
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	55	14
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	109	36
	164	79

9. მიღებული სესხები

	30 ივნისი 2019	30 ივნისი 2018
მიღებული სესხის ძირი	15,610	12,343
დარიცხული პროცენტი	13	12
	15,623	12,355

მიღებული სესხები შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	ვალუტა	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	30 ივნისი 2019		30 ივნისი 2018	
				ძირი	პროცენტი	ძირი	პროცენტი
Anka Food SA	აშშ დოლარი	მოთხოვნამდე **	N/A	11,037	-	7,453	-
სს თი ბი სი ბანკი 1*	აშშ დოლარი	06-11-20	4%	3,789	10	4,108	10
სს თი ბი სი ბანკი 2	აშშ დოლარი	18-06-21	12%	430	2	520	2
სს თი ბი სი ბანკი 3	ევრო	06-11-20	4%	354	1	-	-
Anka Food SA	ლარი	მოთხოვნამდე **	N/A	-	-	258	-
სხვა	აშშ დოლარი	17-12-18	N/A	-	-	4	-
				15,610	13	12,343	12

*თი ბი სი-სგან აღებული სესხის მიზანი იყო თბილის პროდუქტების მეორე დონის გადამამუშავებელი განყოფილებისთვის ახალი მანქანა-დანადგარების შეძენა და დამონტაჟება. ეს ქვე-პროექტი, რომელიც განხორციელდა EBRD-ის დახმარებით, წამახალისებელი პრემიის სახით ითვალისწინებდა 329 ათასი ევროს მიღებას, თუ მანქანა-დანადგარები დააკმაყოფილებდა კორპორატიული მოთხოვნებისა და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების ყველა დაწესებულ კრიტერიუმს. წლის ბოლოს პროექტმა ვერ დააკმაყოფილა ყველა მოთხოვნილი კრიტერიუმი. დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია მე-16 შენიშვნაში.

**სესხების დაფარვა მოხდა მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების თანახმად.

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

9. მიღებული სესხები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად, ასევე არაფულად ცვლილებებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2019	2018
ნაშთი წლის დასაწყისში	12,355	2,833
ფულადი ნაკადები	8,079	18,502
არაფულადი ნაკადები:		
პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	247	151
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი	2,408	(186)
გადახურვა*	(7,466)	(8,945)
ნაშთი წლის ბოლოს	15,623	12,355

*საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, Anka Food SA-ს, Anka Europe GmbH-ს (Anka Food SA-ს შვილობილი კომპანია) და კომპანიას შორის ფულადი ნაკადები არ იყო საქონლის მოძრაობასთან შესაბამისი. ჯგუფის დედა კომპანია, Anka Food SA გეგმავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე, რაც ასახულია მიღებული სესხების მოძრაობის ცხრილში გადახურვის სახით.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	30 ივნისი 2019	30 ივნისი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	713	32
მანქანა-დანადგარების შეძენასთან დაკავშირებული ვალდებულებები	-	101
სხვა	16	17
	729	150

11. ამონაგები

	2019	2018
საქონლის რეალიზაცია	8,815	9,515
თხილის დამტკრებისა და შეფუთვის მომსახურება	1,246	734
	10,061	10,249

12. ხარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით

	2019	2018
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგებში	772	263
ნედლეული და სახარჯო მასალები	(8,281)	(8,843)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(951)	(688)
ცვეთა და ამორტიზაცია	(735)	(352)
ჩამოწერილი მზა პროდუქცია	(509)	-
ტრანსპორტირება	(218)	(78)
პროდუქციის შემოწმების და ანალიზის ხარჯები	(174)	(109)
სხვა	(509)	(369)
სულ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის თვითღირებულებისა და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,605)	(10,176)

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

13. სხვა წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)

	2019	2018
სხვა შემოსავალი		
ავსტრიის განვითარების სააგენტოსგან მიღებული გრანტი*	58	-
შემოსავალი შესაფუთი მასალების რეალიზაციიდან	11	11
წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	21
სხვა	16	11
	85	43
სხვა ხარჯები		
საგადასახადო ხარჯები, გარდა მოგების გადასახადისა	(84)	(46)
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები	(35)	-
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(35)	(152)
სხვა	(2)	(9)
	(156)	(207)
სხვა წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)	(71)	(164)

* 2017 წლის ნოემბერში კომპანიამ მიიღო გრანტი ავსტრიის განვითარების სააგენტოსგან „Development of the sustainable value chain for organic and UTZ/fair-trade certified hazelnuts from Georgia (Phase II)” პროექტის ფარგლებში ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის პროექტთან # 2550-31/2017 ერთად. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას ეკოლოგიური მდგრადობისა და სოციალური ბალანსის პირობებში.

14. წმინდა ფინანსური ხარჯი

ფინანსური შემოსავალი:	2019	2018
ბანკში განთავსებული სახსრები	73	51
სახელმწიფო გრანტები*	58	72
	131	123
ფინანსური ხარჯი:	2019	2018
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(1,554)	4
მიღებული სესხები	(247)	(151)
	(1,801)	(147)
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	(1,670)	(24)

*2014 წელს კომპანია შეუერთდა საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებულ სურსათის გადამამუშავებელი და შესანახი პირობების თანადაფინანსების პროექტს. პროექტის ფარგლებში კომპანია იღებს საპროცენტო ხარჯის სრულ დაფინანსებას იმ მიღებულ სესხებზე, რომელიც გამოიყენება თხილის სამტკრევი მანქანა-დანადგარების და შესანახი საცავების მონტაჟისთვის.

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	3
მიღებული სესხები	11,038	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	5
ამონაგები	1,308	6,478	-
კომერციული ხარჯები	-	-	(6)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	-	(56)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების სათაური	დამფუძნებელი	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	76	1
მიღებული სესხები	7,711	-	4
ამონაგები	4,843	4,032	-
კომერციული ხარჯები	-	-	(77)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	-	(130)

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კორონავირუსის გავრცელების შესაძლო ეფექტი

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა.

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები.

ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალდებულო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია.

დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარებისა და გავლენის ცვალებადობასთან დაკავშირებით იქნება მეტი სიცხადე. დაუყოვნებლივ ქმედებად, კომპანიამ დაამტკიცა COVID-19-თან სამოქმედო გეგმა და ამ ეტაპისთვის უზრუნველყო ნედლეულის მიწოდება, წარმოების პროცესის გაგრძელება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მკაცრი პროცედურების დაცვით და განაგრძო საქონლის მიწოდება საზღვარგარეთ არსებული მომხმარებლებისთვის. ზოგადად, სურსათის გადამამუშავებელმა ინდუსტრიამ რეგიონის მასშტაბით შეძლო ბიზნესის პროცესების გაგრძელება. ევროკავშირის წევრი ქვეყნის მთავრობები (კომპანიის პროდუქციის რეალიზაციის მთავარი ბაზარი) ცდილობენ შეინარჩუნონ კვების მიწოდების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება.

EBRD-სგან მიღებული გრანტი

2017 წლის ივლისში კომპანიამ და EBRD-მ ხელი მოაწერეს საინვესტიციო გეგმას EU4BUSINESS EBRD Credit Line, საქართველო - პროექტის ფარგლებში. როგორც მე-9 შენიშვნაშია მოცემული, ეს ქვე-პროექტი, რომელიც განხორციელდა EBRD-ის დახმარებით, წამახალისებელი პრემიის სახით ითვალისწინებდა 329 ათასი ევროს მიღებას. 2019 წლის 6 სექტემბერს, პროექტმა დააკმაყოფილა კორპორატიული მოთხოვნების და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების ყველა დაწესებული კრიტერიუმი და კომპანიამ მიიღო ზემოთხსენებული წამახალისებელი თანხა.

შპს ანკა ფეა თრეიდ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 30 ივნისს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

სესხების მიღება და დაფარვა


2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით კომპანიამ დაფარა დედა კომპანიისგან მიღებული სესხი 596 ათასი აშშ დოლარისა და 300 ათასი ევროს ოდენობით. დამატებითი დაფინანსების სახით კომპანიამ დედა კომპანიისგან მიიღო სესხი 60 ათასი აშშ დოლარის და 839 ათასი ევროს ოდენობით.

2019 წლის 4 ოქტომბერს და 2020 წლის 23 აპრილს კომპანიამ სრულად დაფარა სს თი ბი სი ბანკისგან მიღებული სესხი. დაფარვის მიზნით იქნა გამოყენებული საბანკო ანგარიშებზე განთავსებული შეზღუდული ფულადი ნაშთები, შესაბამისად ამ სესხების ანგარიშსწორებამ არ გამოიწვია ეკონომიკური რესურსების გადინება კომპანიიდან.

2020 წლის 8 მაისს კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან, შვეიცარიული კომპანია Pakka Finance AG-სგან, გრძელვადიანი დაფინანსების მიზნით მიიღო საკრედიტო ხაზი მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო ხაზიდან მიღებულ ფულად სახსრებს მომავალი საჭიროებების მიხედვით გამოიყენებს საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.



მმართველობის ანგარიშგება



1.	კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა	26
2.	კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები	26
3.	კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა	26
4.	ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ	27
5.	ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები	27
6.	დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ	27
7.	წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები	27
8.	მდგრადი განვითარების ხელშეწყობა	28
9.	თაღლითობა.....	28
10.	მთავარი რისკები და გაურკვევლობა	28

შპს ანკა ფეა თრეიდ

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

1. კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა

შპს ანკა ფეა თრეიდი ქართული თხილის კომპანიაა, რომელიც 2013 წლიდან აწარმოებს და ექსპორტზე გააქვს ქართული თხილის პროდუქცია. წარმოადგენს რა საქართველოს თხილის ინდუსტრიის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს, კომპანიის სტრატეგია არის, პირველმა შექმნას სამართლიანი ვაჭრობის პრინციპებზე და ორგანული პროდუქტის მწარმოებელ ფერმერებზე დაფუძნებული ორგანიზაცია და ღირებულების ჯაჭვი.

კომპანიის 100% წილის მფლობელი არის შვეიცარული კომპანია Anka Food SA.

კომპანიის მმართველობითი ოფისი და გადამამუშავებელი ქარხანა მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარში.

კომპანია ფლობს BRC სერტიფიკატს, რომელიც გაცემულია Lloyd's Register Quality Assurance Limited-ის მიერ. ეს არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სურსათის უვნებლობის და ხარისხის ნიშანი.

კომპანია აგრეთვე არის ერთადერთი UTZ სერტიფიცირებული თხილის მწარმოებელი საქართველოში. სერტიფიცირების მისაღებად, მწარმოებელმა უნდა დაიცვას UTZ ქცევის კოდექსი (CoC), რომელიც მოიცავს მოთხოვნებს და მითითებებს მენეჯმენტის შესახებ, საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაზე, სამუშაო პირობებსა და გარემოსდაცვით თემებზე.

კომპანიას საქმიანობა უწევს მაღალ კონკურენტულ გლობალურ თხილის ბაზარზე. თურქეთი თითქმის მონოპოლისტია თხილის მსოფლიო ბაზარზე, აწარმოებს რა ბოლო წლების განმავლობაში მთლიანი მიწოდების დაახლოებით 70%-ს. უკანასკნელ პერიოდში თხილის ფასები არამდგრადია, ძირითადად ამინდის და მოსავლის მოცულობის რყევების გამო.

კომპანიისთვის ნედლეულის ძირითადი წყარო არის საქართველო. აზიური ფაროსანას ("BMSB") საქართველოში გავრცელების გამო, თხილის მოსავლის მოცულობა და ხარისხი მნიშვნელოვნად გაუარესდა. ამან ნეგატიური გავლენა მოახდინა კომპანიის შესაძლებლობაზე მიეღო საჭირო რაოდენობის მაღალხარისხიანი ნედლეული. შესაბამისად, კომპანიამ ვერ შეძლო სრული დატვირთვით გამოყენებინა საკუთარი მოწინავე საწარმოო საშუალებები და მაღალი ხარისხის პროდუქცია მიეწოდებინა მისი მიზნობრივი მომხმარებელთა ბაზისთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

კომპანიამ წარმატებით შეძლო COVID-19 პანდემიით გამოწვეულ საწყის პრობლემებთან გამკლავება. კომპანიამ დაუყოვნებლივ შეიმუშავა COVID-19-ის საპასუხო სრულყოფილი სამოქმედო გეგმა და ჯერჯერობით შეძლო ნედლეულით მომარაგების უზრუნველყოფა, მკაცრი შრომითი დაცვისა და უსაფრთხოების პროცედურების შესაბამისად საწარმოო პროცესის ჩატარება და თავისი უცხოელი მომხმარებლებისთვის საქონლის მიწოდება. კომპანიას გაურკვეველ ვითარებაში უწევს ფუნქციონირება. ამ გამოწვევის საპასუხოდ გამოყენებული იქნება კვების მრეწველობის საუკეთესო პრაქტიკა, რათა მომხმარებლისათვის და მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილ იქნეს მაღალი ხარისხის თხილის პროდუქციის შეუფერხებლად მიწოდება.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

დღეს კომპანიის მიზანია გახდეს ფინანსურად გამართული და მიაღწიოს მდგრად ეკონომიკურ ზრდას. ორგანული პროდუქტები და სამართლიანი ვაჭრობა წარმოადგენს მომავალი განვითარების სტრატეგიის მთავარ საყრდენს.

კომპანია აქტიურად არის ჩართული მაღალი დონის ინდუსტრიული მომხმარებლების მოძიების პროცესში და სურს პოზიციონირება როგორც პრემიუმ ხარისხის თხილის პროდუქტების საიმედო მიმწოდებელს საქართველოდან.

მაღალმომგებიანი ბაზრის სეგმენტში გაყიდვების გაუმჯობესებამ უნდა უზრუნველყოს ფიქსირებული ხარჯების სრულად დაფარვა და გრძელვადიანი მომგებიანობა.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია რაიმე კვლევისა და განვითარების საქმიანობა.

შპს ანკა ფეა თრეიდ

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალი.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ათას ლარში	2019	2018
შემოსავალი	10,061	10,249
EBITDA - მოგება / (ზარალი) საპროცენტო ხარჯამდე, გადასახადებამდე და ცვეთის / ამორტიზაციის ანარიცხებამდე	94	138
წმინდა ზარალი	(2,311)	(238)
საერთო მოგების მარჟა	0.1%	4.1%
მოზიდული სესხის კაპიტალთან თანაფარდობა	(20.11)	8.31

2018 წლის ოქტომბერში კომპანიამ ექსპლუატაციაში შეიყვანა მეორე დონის გადამუშავების საწარმოო ხაზი, რომელიც დაფინანსდა სს თი-ბი-სი ბანკის სესხით და მხარდაჭერილ იქნა EBRD-ის გრანტით. გაყიდვების მაჩვენებლები არ დაემთხვა საწარმოო შესაძლებლობების ზრდას. შესაბამისად, ძირითადი საშუალებების დაბალმა უტილიზაციამ განაპირობა საანგარიშგებო პერიოდში წმინდა ზარალი.

2019 წელს კომპანიამ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა დედა კომპანიის სესხის გადაფასების შედეგად, რადგან ქართული ლარი გაუფასურდა აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში.

2019 წელს საერთო მოგების მარჟის შემცირება გამოიწვია მეორე დონის გადამუშავების ხაზის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ცვეთის ანარიცხების ზრდამ.

კომპანიას აქვს მოზიდული სესხის კაპიტალთან თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტი, რადგან ის თავის საქმიანობას ძირითადად სესხის მეშვეობით აფინანსებს. 2019 წელს ეს თანაფარდობა კიდევ უფრო გაუარესდა, რადგან საოპერაციო საქმიანობიდან უარყოფითი ფულადი ნაკადი და ძირითად საშუალებებში განხორციელებული დამატებითი ინვესტიციები დაფინანსდა სესხის მეშვეობით.

კომპანიაში საშუალოდ 110 ადამიანია დასაქმებული, მუდმივი თანამშრომლების და დროებითი სეზონური მუშახელის ჩათვლით.

კომპანიას არ აქვს საგადასახადო ორგანოებთან დავების ისტორია და მნიშვნელოვანი ჯარიმების ან / და საურავების დარიცხვის შემთხვევები.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია საკუთარი აქციების გამოსყიდვა.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

კომპანია დიდ ძალისხმევას დებს თავისი ლოიალური ფერმერების ქსელის გასაძლიერებლად და ნედლეულით მომარაგების საიმედო ბაზის შესაქმნელად, რაც დაფუძნებული იქნება ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის პრინციპებზე.

კარგი ამოსავალი წერტილი არის ის, რომ კომპანიას უკვე აქვს აქტიური საქმიანი ურთიერთობა თხილის ინდუსტრიის გლობალურ ბაზარზე რამდენიმე მთავარ მოთამაშესთან. მიმდინარეობს აქტიური კამპანია, არსებული მომხმარებლის ბაზის გასადიდებლად. ეს ხელს შეუწყობს კომპანიის საქმიანობის გრძელვადიან მდგრადობას და მომგებიანობას.

კომპანია მოწადინებულია საკუთარი გუნდი გააძლიეროს ადგილობრივი ნიჭიერი კადრებით.

8. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა

კომპანია წახალისებს უკეთეს მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებულ ურთიერთობებს თხილის ღირებულებითი ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე:

- გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობები ფერმერებთან;
- ტექნიკური დახმარება მოსავლიანობის გასაუმჯობესებლად;
- ორგანული სასოფლო-სამეურნეო მეთოდების პოპულარიზაცია;
- ფერმერებისთვის სამართლიანი ფასების შეთავაზება და უკეთესი სამუშაო პირობები თანამშრომლებისთვის;
- პროდუქციის უსაფრთხოების მაღალი დონე და მიკვლევადობა.

9. თაღლითობა

ზოგადად კონტროლის გარეშე კომპანიაში, პროცესები და პროცედურები შექმნილია თაღლითობის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. საანგარიშგებო პერიოდში არ დაფიქსირებულა კონტროლის პროცედურების მნიშვნელოვანი დარღვევა.

10. მთავარი რისკები და გაურკვევლობა

მენეჯმენტს დანერგილი აქვს პროცესები რისკების შეფასებისა და შემსუბუქების მიზნით, რათა შემცირდეს მათი პოტენციური უარყოფითი გავლენა და კომპანიამ შეძლოს გრძელვადიანი მიზნებისა და ბიზნეს სტრატეგიის მიღწევა.

ჩვენი ბიზნესისა და საქმიანობისთვის ყველაზე აქტუალურად ითვლება შემდეგი:

ძირითადი რისკები	აღწერა	პოტენციური ზემოქმედება	შემამსუბუქებელი გარემოებები
პროდუქტის ხარისხი და უსაფრთხოება	• უარყოფითი მოვლენა, რომელიც გამოწვეულია სურსათის უვნებლობის ან სხვა შესაბამისობის პრობლემით.	• ნეგატიური გავლენა კომპანიის რეპუტაციაზე და მომხმარებელთა ნდობის დაკარგვა; • ფინანსური ზარალი.	• ორგანიზაციის მასშტაბით სურსათის უვნებლობის კულტურის გაძლიერება; • BRC სერტიფიცირების სტანდარტებისა და სურსათის უვნებლობის ადგილობრივი მოთხოვნების მკაცრი დაცვა.
ნედლეულით მომარაგების მდგრადობის და მიწოდების ჯაჭვის მოშლა	• სოფლის მეურნეობის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მავნებლებთან, დაავადებებთან და ამინდის პირობების ცვლილებებთან; • ძირითადი მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენენ ნედლეულის წყაროებზე და წარმოების ობიექტებზე, მაგალითად გაფიცვები, პოლიტიკური არეულობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია და ა.შ.	• პრობლემები მიწოდების უზრუნველყოფაში რამაც შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის დაზიანება; • საქონლის თვითღირებულების ზრდა რაც უარყოფითად აისახება საქმიანობის ზრდაზე და მომგებიანობის მაჩვენებლებზე.	• კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ხელშეწყობა; • ორგანიზაციული პოლიტიკა და პროცედურები, ჩვენი ხალხის ჯანმრთელობისა და პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; • ბიზნესის უწყვეტობისა და კატასტროფის შემდგომ აღდგენის გეგმა.

შპს ანკა ფეა თრეიდ

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ძირითადი რისკები	აღწერა	პოტენციური ზემოქმედება	შემამსუბუქებელი გარემოებები
კონკურენცია	• თურქეთის მნიშვნელოვანი გავლენა თხილის პროდუქტების მიწოდებასა და ფასებზე. • მომგებიან ბაზრის სეგმენტებში შესვლის ბარიერები რაც განპირობებულია თურქული კომპანიების დომინირებით და მათი, როგორც თხილის პროდუქტების ფართო ასორტიმენტის მდგრადი მიმწოდებლის რეპუტაციით.	• მსოფლიო ბაზარზე მიწოდებული თხილის პროდუქტების მოცულობის რყევები ან თურქული ლირის არამდგრადობა, კომპანიას აყენებს ფასების რისკის და მარაგების გაუფასურების საფრთხის ქვეშ. • მაღალი დონის ინდუსტრიული კლიენტების საბაზრო წილის დაკავების შესაძლებლობის არქონა.	• აქტიური კამპანია რაც ხელს შეუწყობს საქართველოს როგორც თხილის საიმედო ალტერნატიული ადგილწარმოშობის რაიონის წარმოჩენას. • საქართველოს, როგორც თხილის პროდუქტების საიმედო მიმწოდებლის, პოპულარიზაცია, რომელიც წარმოების პროცესში იცავს ორგანული მეთოდებისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს.
სავალუტო რისკი	• ქართული ლარის მნიშვნელოვანი დეველვაცია.	• გრძელვადიანი აქტივების შესაძენად მოზიდული სესხები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. შედეგად, კომპანია დგას მნიშვნელოვანი სავალუტო რისკის წინაშე.	• შემოსავლები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში - აშშ დოლარში და ევროში. ეს საშუალებას აძლევს კომპანიას სესხების მომსახურებისთვის განკუთვნილი უცხოური ვალუტის გადინება დააბალანსოს რეალიზაციიდან მიღებული ფულადი ნაკადებით.

მმართველობის ანგარიშგება 2019 წლის 30 ივნისის დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 5 ივნისის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ზდენეკ რადილ

შპს ანკა ფაა თრეიდ


მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ძირითადი რისკები	აღწერა	პოტენციური ზემოქმედება	შემამსუბუქებელი გარემოებები
კონკურენცია	- თურქეთის მნიშვნელოვანი გავლენა თხილის პროდუქტების მიწოდებასა და ფასებზე. - მომგებიან ბაზრის სემენტებში შესვლის ბარიერები რაც განპირობებულია თურქული კომპანიების დომინირებით და მათი, როგორც თხილის პროდუქტების ფართო ასორტიმენტის მდგრადი მიმწოდებლის რეპუტაციით.	- მსოფლიო ბაზარზე მიწოდებული თხილის პროდუქტების მოცულობის რყევები ან თურქული ლირის არამდგრადობა, კომპანიას აყენებს ფასების რისკის და მარაგების გაუფასურების საფრთხის ქვეშ. - მაღალი დონის ინდუსტრიული კლიენტების საბაზრო წილის დაკავების შესაძლებლობის არქონა.	- აქტიური კამპანია რაც ხელს შეუწყობს საქართველოს როგორც თხილის საიმედო ალტერნატიული ადგილწარმოშობის რაიონის წარმოჩენას. - საქართველოს, როგორც თხილის პროდუქტების საიმედო მიმწოდებლის, პოპულარიზაცია, რომელიც წარმოების პროცესში იცავს ორგანიზაციის მეთოდებისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს.
სავალუტო რისკი	ქართული ლარის მნიშვნელოვანი დევალვაცია.	გრძელვადიანი აქტივების შესაძენად მოზიდული სესხები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. შედეგად, კომპანია დგას მნიშვნელოვანი სავალუტო რისკის წინაშე.	შემოსავლები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში - აშშ დოლარში და ევროში. ეს საშუალებას აძლევს კომპანიას სესხების მომსახურებისთვის განკუთვნილი უცხოური ვალუტის გადინება დააბალანსოს რეალიზაციიდან მიღებული ფულადი ნაკადებით.

მმართველობის ანგარიშგება 2019 წლის 30 ივნისის დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 5 ივნისის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ზდენეკ რადილ

